



## უნივერსიტეტის ღირსების კოდექსი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გუნდი ახალისებს ინდივიდს განავითაროს და გააზიაროს ცოდნა, უნარები და ღირებულებები საზოგადოების საკეთილდღეოდ. ამასთან, კეთილსინდისიერება, როგორც გაზიარებული ღირებულება, არის ნებისმიერი ინტელექტუალური საქმიანობის საფუძველი. უნივერსიტეტის საზოგადოების წევრობა გულისხმობს გულწრფელობას წყაროების იდენტიფიცირებისას თუ მიკუთვნების სიზუსტისას, მათი განმარტებისა თუ დასკვნების ფორმირებისას, ასევე, სხვათა ნებისმიერი კონტრიბუციის აღიარებას. თითოეულის წვლილი იმსახურებს სათანადო დაფასებას.

დარღვევის შესახებ ნებისმიერი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭოს მიერ შექმნილი დროებითი კომისია, რომელიც გადაწყვეტილებას კონსულსით იღებს და აკადემიურ საბჭოს სთავაზობს დარღვევის აღმოფხვრის გზებს. სასურველია, რომ კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცეს ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს ან სხვა ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლებს. სტუდენტების არასათანადო ქცევის შემთხვევაში გამოიყენება [საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების დებულებით](#) გათვალისწინებული პროცედურა.